

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
სოფ. ჩაისუბნის საჯარო სკოლა



ჯვარცხმილან ჩაისუბნამდე

2010 წელი

ჯვარცხმიდან ჩაისუბნამდე

ინფორმაციები მოვიძიეთ სასკოლო და ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, გამოვიყენეთ სოფლის უხუცესთა მოგონებები

ბროშურა დაფინანსებულია “ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის” პროგრამის“ შევიცვალეთ ჩვენ და შევცვალეთ ჩვენი შვილები” ფარგლებში; ფინანსური მხარდაჭერით.

ჩოხატაური
2010წელი

სოფელი ჯვარცხმა გამოირჩეოდა შრომისმოყვარე, კოლორი-
ტული პიროვნებებით, ესაა პირველი ცდა მოსწავლეთა ძალებით
შექმნათ ძველი და ახალი სოფლისა და სკოლის სახე. იგი
არ არის სრულყოფილი; ვთხოვთ დაინტერესებულ პირებს, ვი-
საც ხელი მიუწვდება ისტორიულ წყაროებსა თუ ფაქტებს, მოგვა-
წოდოთ მასალები რათა სრულყოფილი გავხადოთ ჩვენი მოკრძა-
ლებული ნაშრომი მომავალში.

ბროშურის გომოცემაზე მუშაობდნენ:

ისტორიის მასწავლებელი: ლიანა თოდუა (ტიქსტის ავტორი)

მზია პაიჭაძე (რედაქტორი)

მოსწავლეები:

ილონა ოსეფაიშვილი

ანა უნგიაძე

თათია რამიშვილი

გვანცა საჯაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მარინა კილასონია

მადონა ქურდაძე



ისტორიული ჯვარცხმა

XX საუკუნის 30-იან წლებამდე ჩვენი სოფელი ჯვარცხმად იწოდებოდა. იგი დაბის ცენტრს 2,5კმ-ითაა დაშორებული და ასფალტირებული გზით უკავშირდება. ჯვარცხმის საზოგადოება ერთ-ერთი ავტორიტეტული, ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრებით გამორჩეული თემი იყო ჩოხატაურში. თუმცა სიღარიბე ჯვარცხმელთა მუდმივი თანამგზავრი გახლდათ, მაგრამ გურული გლეხი ებრძოდა მიწას, გაუტყეხელი და ამაყი, მომავლის იმედს არ კარგავდა. სოფლის უხუცესი მკვიდრი შალვა შარაშენიძე იგონებს: „მოსახლეობის ძირითადი ნაწილი 7-8 თვე მინდვრის ფხალითა და მსხლის ფაფით იკვებებოდა“. 1900-იან წლებში სოფელში ხილის მოშენება დაიწყო. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ძმები ალექსანდრე და მელიტონ პაიჭაძეები.

რადგან საცხოვრებელი სახლი ისლით დახურული, წნელით მოწნული და შელესილი ფაცხა გახლდათ. ხშირი იყო ოჯახის მამაკაცების გასვლა ქალაქად-საშოვარზე, ისინი დღიურ მუშებად, ან ფაბრიკა-ქარხნებში შრომობდნენ. სამიმოსვლო საშუალება იყო ეტლი, რომლითაც ხშირად შეძლებულები სარგებლობდნენ. ქალაქად წასული მშრომელები რევოლუციური იდეებით გატაცებულ საზოგადოებას უერთდებოდნენ.

სოფლის მშენებას და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა ე.წ. „ხელფეხიანი მუხა“, „ეს იყო უზარმაზარი, ბუნების მშვენიერი ქმნილება,“- იგონებენ მოხუცები. „ხელფეხიან მუხასთან“ მომხდარა მეფისნაცვლის კრიმ გირეის შეხვედრა

ჯვარცმულ გლეხებთან, ერთ–ერთ მათგანს თეიმურაზ ჩხიკვაძეს მისთვის გლეხთა მძიმე მდგომარეობა გაუცვინია და დახმარება უთხოვნია.

ცნობილია 1905 წლის 2 მაისის საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც ხიდისთავისა და ჯვარცხმის მშრომელებს მოუწყვიათ. იმდროინდელ პრესაში ვკითხულობთ: „ზღვა ხალხს თავი რომ „ხელფეხიან მუხასთან“ ჰქონდა, კუდი მდინარე ქორთმას სწვდებოდა... აქვე, კოკოტიის დაღმართში მოხდა ჟანდარმერიის ჩასაფრება, გაისმა სროლის ხმა და ხიდისთაველი მჭედელი ესე კალანდაძე მოცელილი დაეცა მიწაზე...“ იგი იქვე, ბოლქვაძის ეზოში გარდაიცვალა. ისტორიამ შემოინახა ესე უკანასკნელი სიტყვები: „თავი დამანებეთ, მე აქ მოვკვდები, იბრძოლეთ ბოლომდის, იბრძოლეთ, ვიდრე არ გაიმარჯვებთ! როცა დადგეს დღე რევოლუციისა, ჩემი ძელები ამოხეთქენ საფლავიდან და ბოლომდე იბრძოლებენ თქვენთან ერთად!“ რევოლუციონერ ქალს, ხიდისთაველ მარიამ კალანდაძეს, რომელიც თავისივე შეკერილი წითელი დროშით წინ მიუძღოდა დემონსტრაციებს, დროშა უბეში დაუმალავს და ბუნჩებ–ბუნჩებ გაპარულა ხიდისთავისკენ.



ჩვენი სოფელი, მისი მიწა უძველესი ადამიანის ნამოსახლი რომ არის ამას ადასტურებს კლოდი მდინარაძის ეზოში, მიწის დამუშავებისას აღმოჩენილი სხვა და სხვა სახის ხელტული.

მიუხედავად საყოველთაო სიღარიბისა, ჯვარცხმელი გლეხები ცდილობდნენ შვილებისათვის ესწავლებინათ. მათი თხოვნით 1880 წელს სოფელში ორკლასიანი სასწავლებელი გახსნილა, რომელიც მალე ოთხკლასიანად გადაკეთებულა. ხის შენობა თავად გლეხებს აუგიათ. პირველ მასწავლებლად მოიხსენიებენ გიორგი ზდანოვიჩს, რომელიც საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ამ წლების შესახებ შემორჩენილია მოგონებაც: რომელსაც შალვა შარაშენიძე გვაწვდის: „შემოდგომის მიწურული იყო. უცბად ორღობიდან ღრიალი გავიგონეთ, გამოვცვივდით და დავინახეთ დამლაგებელი იღარიონ მგალობლიშვილი, რომელიც პირზე ხელაფარებული გარბოდა. უკან მისდევდა სოფელში ახლად ჩამოსული მასწავლებელი გიორგი ზდანოვიჩი, რომელმაც გვითხრა: ესაუზმობდი, ჩაი დავისხი, ამ დროს კანცელარიის დასახვეტად იღარიონი მოვიდა, ჩაიზე მოვიპატიუე, მან საქმე მოიმიზეზა, გაგიმარჯოთო თქვა და ცხელი ჩაი უცბად გადაჰკრა, კერაფრის თქმა ვერ მოვასწარი.



1900-იან წლებში ჩაი ჩვენი სოფლისათვის ჯერ კიდევ უცხო ყოფილა, მას განსაკუთრებულ შემთხვევაში სამკურნალოდ და ძვირფას სტუმრისათვის იყენებდნენ თურმე მდიდრები. სამამულო

ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი ვასილ შარაშენიძე იგონებს: „სკოლას იშვიათად თუ გააცდენდა ვინმე, გააკეთილებს ინტერესით ვსწავლობდით, მასწავლებელი ძალიან გვიყვარდა, ღვთაებრივი ძალა ჰქონდა მის სიტყვას.“

სკოლა ვერ იტევდა სწავლის მსურველთ, ოჯახიდან მხოლოდ ერთს ღებულობდნენ; ბავშვები მოჰყავდათ თვით ჯვარცხმიდან და მეზობელი სოფლებიდანაც.

სკოლა განთავსებული იყო ხის ორ შენობაში, რომელიც კრამიტით იყო დახურული, იდგა ერთი მეტრი სიმაღლის ბოძებზე. პატარა შენობაში ცხოვრობდა სკოლის გამგე. ეზო იყო შემოღობილი, სკოლა თბებოდა ბუხრითა და შეშით.



1919წ. სკოლის გამგე იყო სარდიონ მგალობლიშვილი დაბლაციხიდან, მისი ძმა ილარიონი მღვდელი ყოფილა, რომელიც საღვთო სჯულს ასწავლიდა. მასწავლებლად მუშაობდნენ: მალაქი ჩიგოგიძე, სერგო ბოლქვაძე, მარო ჩხიკვაძე, სამსონ ბახტაძე და სხვები. მასწავლებლები მრავალი სიახლის წამომწყები და ორგანიზატორები ყოფილან. ისინი ქმნიან პირველ ბიბლიოთეკას, ატარებენ სანახაობით ღონისძიებებს—ალეგროებს, სახალხო თეატრალურ დადგმებს და ა. შ.

1936წ. სკოლა შვიდწლიანად გადაკეთდა.

1937წ. ღირეკტორად ღაინიშნა 19წ. პეღაღოგი: აღეკსანდრე ბერიძე ერკეთიღან. იგი ღიდი ინტერესით შეუღღა სასკოლო მუშაობას, მის მიერ ნაყიდი კეღლის საათი ღღესაც ინახება სკოლაში. 1978წ. იგი ეწვია სკოლას, გაინახრა როცა საათი ნახა, რომლითაც კვლავ ვმუშაობღით, ბავშვებმა იგი 118-ე საპატიო პიონერად აირჩიეს.

ბატონი აღეკსანდრე აქტიურად მონაწილეობღა ომის ვეტერანთა რესპუბლიკურ საბჭოში, იყო მრავალი ჯიღღოს კავაღერი, სიცოცხლე გენერლის წოდებით ღაასრულა. იყო პარლამენტის წევრი, საინტერესო ღეკტორი, სკოლის მეგობარი.



სკოლას სხვა და სხვა ღროს მეტად საინტერესო პიროვნებები ხელმძღვანელობღენ. მათ შორის არ შეიღღება არ ვახსენოთ რესპუბლიკის ღამსახურებული მასწავღღელი გაღაკტიონ სიმონიშვიღი. მისი ღიდი მეცაღინეობით 1967 წელს სკოლა საშუალოდ გაღაკეთღა და გაღავიღა ახლად აგებულ კაპიტაღურ შენობაში, რომელიც რაიონში პირველად ააგო კოღმეურნეობის მაშინღეღმა თავმჯღომარემ, ომის ვეტერანმა ოქროპირ შარაშენიძემ. სკლის საბაღანსო ღირებულღა იყო 112000 მანეთი და ემსახურებღა 350 მოსწავღეს.

სკოლას სხვა და სხვა დროს 15-მდე მაღალკვალიფიციური კადრი მართავდა, თვითეულმა თავისი ცოდნა, გამოცდილება და სულიერება ჩადო სასკოლო ცხოვრების ორგანიზებაში. სკოლა გამოცდილი პედაგოგიური კოლექტივის კოლექციალური ზრუნვით საინტერესო სასწავლო და აღმზრდელობით ღონისძიებებს ატარებდა.

ჩაისუბნელუბი სამამულო ომში

სოფლის ახალი სახელი ახალი სამეურნეო კულტურის ჩაის პლანტაციის გაშენებისათვის დაუკავშირებიათ. სოფლის სავარგულები ძირითადად ამ კულტურას დაუკავებია და მაღალშემოსავლიან დარგად ქცეულა. იგი რაიონში პირველი მილიონერი კომეურნეობა იყო. ბატონ ოქროპირ შარაშენიძის სახელს უკავშირდება სოფლის ცენტრის დამშენება კაპიტალური ნაგებობებით: სკოლა, კოლმეურნეობის კანტორა, კულტურის სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი და ბოლოს დიდების მემორიალი.

1941 წელს სამივე სოფლიდან (ჩაისუბანი, ინტაბუეთი, ვაზიანი) 118 ახალგაზრდა გაუწვევიათ, რომელთაგან 45 გმირილად დაიღუპა ბრძოლის ველზე, სოფელს 73 ნაომარი დაუბრუნდა. სამი ოჯახიდან (პაიჭაძე ლომინე, ჩხიკვაძე ნოე, ბასილია თომა) სამ–სამი ვაჟკაცი დაიღუპა და გვარის გამგრძელებელი აღარ დარჩათ. 21 ოჯახიდან ორ–ორი მამაკაცი ძმები ან მამა–შვილი შეიწირა ომის საშინელეზამ. სკოლის ისტორიის წრე აგროვებდა და ინახავდა მათ შესახებ მასალებს.

რაიონულ გაზეთ „ბრძოლის დროშაში“ 1943წ. ვკითხულობთ: „ჩაისუბნის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სატანკო კოლონის ასაგებ „ნორჩი პიონერის“ ფონდში შეიტანეს 1200 მანეთი; თანხების შეგროვების საქმეში განსაკუთრებული აქტიუობა გამოიჩინეს პიონერებმა: ზაჩიტა მდინარაძემ, ქკილასონიამ, ც. შარაშენიძემ, ტ. ყენიამ, მ. შარაშენიძემ, ი. შარაშენიძემ, ც. გიორგაძემ. თითოეულმა მათგანმა სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში შეიტანეს 50 მანეთი.“ კორესპოდენტი ეკატერინე მახარაძეა, შემდგომში სკოლის დაწყებითი კლასის მსაწავლებელი.

სასკოლო მუზეუმში დაცული გვაქვს ომის ვეტერანთა სურათები, ხელნაწერი ჟურნალები, ეწყობოდა შეხვედრები ომის ვეტერანებთან და სხვა.

საბჭოთა კავშირის ზმირი პლატონ წიქარიძე
და ჩვენი სკოლა

მშობლიური სოფელი ჩაისუბანი და მისი სკოლა არაერთმა მისმა აღზრდილმა ასახელეს და ომიდან ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდნენ. ომის შემდგომი საქმიანობით, საყოველთაო სიყვერული დაიმსახურეს ომის ვეტერანებმა პოლკოვნიკებმა: პ. წიქარიძემ და ვ. შარაშენიძემ, გ. ნებიერიძემ, ვ. თოდრიამ, ნ. წიქარიძემ, ლ. ჩხიკვაძემ, ტ. ჩხიკვაძემ და მრავალმა სხვამ. პლატონ წიქარიძეს უმაღლესი ჯილდო ოქროს ვარსკვლავი მიეკუთვნა ქერჩთან, ელტიგენის მადლობისათვის ბრძოლაში. მას ჰქონდა უმაღლესი სამხედრო განათლება. კითხულობდა ლექციებს, იყო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი.



იგი საბოლოოდ მეუღლესთან ერთად სოფელში დამკვიდრდა. მისი ინიციატივით პირველად რაიონში ჩვენს სკოლაში ჩამოყალიბდა სამხედრო პატრიოტული აღზრდის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებული იყო VIII–IX–X–XI კლასის მოსწავლეები, პედაგოგები; მშობლები. მიზანდასახულმა შემოქმედებითმა შრომამ საინტერესო გახადა მოზარდების პატრიოტული აღზრდის მრავალმხრივი პროცესები. იგი თავად უკეთებდა ორგანიზაციას მოსწავლეების ექსკურსიებს. ასე გაეცნენ ყმაწვილები ბათუმის სამხედრო ნაწილის ცხოვრებას. მონახულეს ლესელიძის სახლ-მუზეუმი ხვარბეთში, ოზურგეთის დიდების მუზეუმი. სკოლა ამყარებდა წერილობით კონტაქტებს კურსდამთავრებულ ჯარისკაცებთან სხვა და სხვა მიმართულებით. ერთ-ერთ შეხვედრაზე განახლებაში, ბატონ პლატონს ხალხური ლექსით მიესალმა მოსწავლე რუსუდან დოლიძე:

„ვემდერთ გმირსა დიდება სიცოცხლის უკედაემყოფელი,
ხარობდეს ინტაბუეთი გმირის აღმზრდელი სოფელი.“

მადლიერმა ხალხმა ჩაისუბნის კულტურის სახლში აღნიშნა მისი 70 წ. იუბილე.

მეგობრობა გზად და ხილად

სოფელი ჩაისუბანი და ჩვენი სკოლა მეგობრობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ჩაისუბნის საშუალო სკოლასთან და კოლმეურნეობასთან, ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, შემოქმედებით ღონისძიებებზე დასწრება და სხვა. სოფელში 1980 წელს აიგო დიდების მემორიალი, რომლის გახსნაც საყოველთაო ზეიმად იქცა. ამ ზეიმის მასპინძელი ჩვენი სკოლა იყო.



ნოდარ დუმბაძის ნათელი სახელით

1984 წლიდან ჩვენი სკოლა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ნოდარ დუმბაძის სახელს ატარებს. მაშინდელმა დირექტორმა, ნ. მეგრელიძემ, ყველაფერი გააკეთა, რათა მწერალი ღამაზად დამკვიდრებულიყო სკოლის ისტორიაში, ფოიეში დაიდგა ნოდარის ბიუსტი და სტენდი. სკოლაში ყოველთვის დიდი შემოქმედებითი პროექტებით აღინიშნა მწერლის 70,75,80 წლის იუბილეები.

მწერლის 80 წლის საიუბილეოდ განხორციელდა სასკოლო



პროექტი „მწერლის საუფლოში“ (ავტორი ღ. თოდუა), შეექმენით ნოდარის ოთახი, რომელშიაც თავი მოვუყარეთ მწერლისადმი მიძღვნილ მასალებს, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემოქმედებით ნამუშევრებს, დასკვნითი ღონისძიება ნოდარის სახლ-მუზეუმში, ზენობანში ჩავატარეთ.

მასწავლებელმა ლიანა თოდუამ მონაწილეობა მიიღო კონკურსში და დაწერა თხზულება „სიცოცხლის მაცესტრო“, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა.

2009 წლის 14 სექტემბერს საყვარელი მწერალი მზიური-დან მთაწმინდაზე გადაასვენეს. დაკრძალვის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა ჩვენი სკოლის პედაგოგი ლიანა თოდუა. მწერლის საფლავთან ითქვა: „იკეცებიან ათწლეულები, ნოდარ დუმბაძე როდი ჩარჩა მეოცე საუკუნეში. იგი თვისი სისხლსავსე გმირებით მოაბიჯებს ჩვენს გვერდით, გვწვრთნის და გვასწავლის მამულის, ადამიანის, სამყაროს, ყოველივე ქართულის სიყვარულს....“

ნოდარ დუმბაძის პიროვნების, მისი შემოქმედების შეცნობა კაცთა მოღვმის სასიამოვნო სიხარულია, ნოდარ დუმბაძე არის მხატვრული სიტყვა მოქმედებაში-ერის სულში ღრმად განფენილი.”

125 წელი-აღზრდის სამსახურში

2006 წლის 18 მაისს ფართო საზოგადოებამ აღნიშნა მშობლიური სკოლის 125 წელი. მოხსენებაში სკოლის მაშინდელმა დირექტორმა ლიანა თოდუამ აღნიშნა, რომ 125 წლის გადასახედიდან სკოლას ბევრი აქვს თავმოსაწონებელი. იგი საუკუნეზე მეტია სოფელში კულტურისა და განათლების მაღალორგანიზებული კერა იყო. დადგა ჟამი ყველა დროის ჩაისუბნელ პედაგოგს მადლობა ვუთხრათ გაწეული ღვაწლისათვის; ჩვენს სკოლაში მიიღეს პირველი პედაგოგიური ნათლობა და ახლა წარმატებით მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა სკოლებში: ლილი ჩხაიძე, დარიკო ჩხიკვაძე, ავთანდილ შარაშენიძე, ნანი ჩხიკვიშვილი, გულნაზ მწყერაშვილი, რაფიელ წიტიანიშვილი, ამირან ცინცაძე, ნუგზარ ჯიბლაძე, ნოდარ ჩხიკვაძე და მრავალი სხვა.

პედაგოგიურმა კოლექტივმა განახორციელა პირველი წარმატებული სასწავლო პროექტი „ნაბიჯ-ნაბიჯ“ I-IV კლასებში, რომელთათვის შეიცვალა სასწავლო გარემო, გადამზადდა პედაგო-

გები, შემოტანილი იქნა თანამედროვე ავეჯი, აღიჭურვა ტექნიკური საშუალებებით და სასწავლო რესურსებით.

2005 წელს სკოლამ ახალი პროექტი წარადგინა საკონკურსოდ, რომლითაც 3000 დოლარი მოიპოვა. ამ თანხით კეთილ მოეწყო და ტექნიკით აღიჭურვა სასწავლო კაბინეტი „ცოდნის სავანე“.

განხორციელებულმა პროექტებმა, სწავლებისა და სწავლის ახალი მეთოდების დაუფლებამ სკოლა მოწინავე გამოცდილების კერად აქცია. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას ხელი შეუწყო 3 წლიანი ტრენინგების გავლამ ბათუმის გადამზადების ცენტრში.

2005 წელს ჩვენ სკოლაში მოეწყო განათლების სამინისტროს რეფორმის ჯგუფის შეხვედრა რაიონის პედაგოგეთან. მინისტრის ალექსანდრე ლომაიას ხელმძღვანელობით.

რეფორმის ბზოი

2006 წლის ბოლოს გაიმართა დირექტორთა შესარჩევი კონკურსი. ყოფილი დირექტორი ლიანა თოდუა ასაკის გამო გავიდა პენსიაზე, ხოლო ადგილი დაიკავა ყოფილმა მოადგილემ, კონკურსგაგვილმა მალვინა ოსაფაიშვილმა, რომელსაც საკმაოდ გამოცდილება, სიახლეთა წვდომისა და გამოყენების უნარი აქვს.

სკოლას ყოველთვის მხარში ედგა სოფლის ხელმძღვანელობა, ყოფილი გამგებლის ავთანდილ ბასილიას ხელმძღვანელობით.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი აქტიურად ეხმიანება სიახლეებს, თავად არის ნოვატორი და სიახლეთა მაძიებელი. მოსწავლე იღონა ოსეფაიშვილი მონაწილეობს ილია ჭავჭავაძის კვირეულში, მოეწყო მისი ნახატების პერსონალური გამოფენა, რისთვისაც საპრიზო ადგილი და სიგელი დაიმსახურა.

სკოლა აქტიურად ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში, განხორციელდა პროექტი „აქტიური მოსწავლე და მშობელი საგანმანათლებლო სისტემაში“.

ჩატარდა სემინარი მოსწავლეთა თვითმართველობის, პროექტების წერის, სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“. მათი ინიციატივით გაკეთდა გზამკვლევი მოსწავლეთა თვითმართველობის შესახებ:

1. არჩევნები.
2. უფლებები.
3. შინაგანაწესი.
4. მოსწავლეთა უფლებების დაცვა.
5. ინიციატივები.

მოსწავლეთა რეგიონალურ პარლამენტში არჩეული იქნა VIII კლასელი გვანცა საჯაია და ნანა ბექაური.

ჩატარდა სკოლის თვითშეფასება და შესაბამისად მომზადდა ანგარიშები, დასკვნები, გაკეთდა სკოლის განვითარების 3 წლიანი სტრატეგიული გეგმა.

ჩამოყალიბდა ლიდერ მშობელთა და მასწავლებელთა ჯგუფი, რომელსაც ჩაუტარდა სამდღიანი სემინარი თემაზე „სკოლის თვითშეფასება“ – ორგანიზაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოების“ მიერ.

სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის სამჯერ ჩატარდა ორდღიანი ტრენინგები სამეურვეო საბჭოს წევრების უნარ-ჩვევების ასამაღლებლად.

ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „ფინანსური მენეჯმენტი“ საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მიერ.

ჩოხატაურის შსრ განყოფილების უბნის რწმუნებულის მანუჩარ ღლონტის მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ვიცხოვროთ ნარკოტიკების გარეშე“.

ჩატარდა საინფორმაციო სემინარები ლიდერ მშობელთა და მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფებთან.

სკოლის თვითშეფასების მიზნებსა და ამიციანებზე მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით:

1. კვლევის ანკეტების პილოტაჟი.
2. ინსტრუქტაჟი სკოლის თვითშეფასების ჩასატარებლად.
3. შეირჩა მაკორდინირებული ჯგუფი კვლევის ჩასატარებლად



4. სემინარი კვლევის ანგარიშისა და დასკვნების რეკომენდაციების მოსამზადებლად.

5. კონსულტაციები გაეწია ლიდერ მშობლებს სათემო ღონისძიებების ჩატარებისა და მშობელთა სათათბიროების შექმნასთან დაკავშირებით.

დასრულდა პროექტი „სანიტარული კვანძების მშენებლობა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ შუამდგომლობით გერმანიის საელჩომ დააფინანსა. სკოლას სტუმრობდა გერმანიის ელჩი ქალბატონი პატრიცია, რომელმაც ბავშვებს ფასიანი საჩუქრები გადასცა.

ასევე დასრულდა პროექტი „ეთანამშრომლობთ, რათა მოვარგოთ მსოფლიო ბავშვებს“, რომელსაც ხელმძღვანელობდა „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი.“

მოსწავლეთა 62-ე შემოქმედებით კონფერენციაზე I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა X კლასელმა ბიძინა ჩიგოგიძემ, მეორე ხარისხის–XI კლასელმა ლალი ასამბაძემ.

X კლასელთა მიერ მეორედ მოეწყო სარვაშარტო აქცია ჩოხატაურში.

მოსწავლეთა ტრიო (მასწ. ნ.მეგრელიშვილი) წარმატებულად მონაწილეობდა გოგი დოლიძისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში (მოსწავლეები: ბელა ანთიძე, ლალი ანთიძე, გვანცა საჯაია).

სკოლის ფეხბურთელთა გუნდი II ადგილზე გავიდა რაიონულ პირველობაზე (მასწავლებელი თ. ჩხიკვიშვილი).

რაიონულ პირველობაზე კარატეში II ადგილი დაიკავა VI კლასელმა სოსო კალანდაძემ, ხოლო რესპუბლიკაში–III ადგილი.

დაიწყო და გრძელდება აქცია „ჩვენ ჯანსაღი თაობა მოვდივართ“ მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ (მასწ. ნ. ხვედელიძე).

ანა კალანდაძისადმი მიძღვნილ კვირეულში რაიონულ ღონისძიებებზე III ადგილი დაიკავა VI კლასელმა თათია რამიშვილმა.

ჩატარდა საგნობრივი კვირეულები, ექსკურსიები, ექსკურსია-გაკვეთილები. X კლასელი ბ. ჩიგოგიძე დაჯილდოვდა პერსონალური კომპიუტერით.

სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, მასწავლებელთა 60% გადამზადდა კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე. სკოლა დაკომპლექტებულია ავეჯით, სპორტული ინვენტარით, გაიზარდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი:

2008–09 სასწავლო წელი უჩვეულო პირობებში დაიწყო. ჯერ კიდევ ბოლავდა მიწასთან გასწორებული სამაჩაბლო, გორი, ცხინვალი.... ომმა ჩვენ თვალწინ ჩაიარა, ამ ომში ჩვენი სკოლის 12 კურსადამთავრებული მონაწილეობდა სხვა და სხვა უბნებზე.

თავსდატყეხილი ომის საშინელებების გაცნობიერებისათვის, სამი დაღუპული ჩოხატაურელის: ლერი მგალობლიშვილის, მერაბ ახობაძის, მურთაზ ირემაძის ხსოვნის პატივსაცემად სექტემბერში დაიწერა სასკოლო, პროექტი „უფალი, აფხაზეთი, სამაჩაბლო“. (ავტ. ლ. თოდუა) მოსწავლეთა მიერ ჩატარდა საკვლევაძიებო სამუშაოები, მოიპოვეს სანგრებში დაწერილი პოეზიის ნიმუშები, შეაგროვეს მოგონებები, ფოტოები. 20 ნოემბერს ჩატარდა შემოქმედებითი საღამო თან ახლდა მრავალფეროვანი გამოფენები, ყვავილების კომპოზიციები, ლიტ. მუსიკალური მონტაჟი „აკურთხე, უფალო სამკვიდრო შენი“, პროექტის ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება გახლავდათ ექსკურსია ვანსა და ჭყვიშში, გალაქტიონის სახლ-მუზეუმში. შთბეჭდილებები მოსწავლეებმა ასახეს კედლის გაზეთში „შამთააღმწრელი“ და ხელნაწერ წიგნში „ჯვარცხმა-3“, გაკეთდა სტენდები, მოეწყო კუთხე სამი დაღუპული ჩოხატაურელის პატივსაცემად „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“. ჩვენი სკოლის კურსადამთავრებული, ფიზიკოსი მაღვინა ოსევაიშვილი ორგანიზებულიად ხელმძღვანელობს პედაგოგიურ კოლექტივს, სწრაფად უღებს ადლოს განათლების სიახლეებს, სწვდება მათ, კოლექტივთან ერთად წყვეტს პრობლემებს და აღწევს წარმატებებს.



მრავალგვარი საცდურით გარემოსილი მოზარდის მობრუნება წიგნისაკენ ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია, საუკუნოვანი კულტურისა და აღზრდის გამოცდილ სასწავლო კერას – ნოდარ დუმბაძის სახელობის საჯარო სკოლას, მის პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მშობელთა სამეურვეო საბჭოს კოორდინირებული მუშაობით, აქვთ სათანადო აკადემიური

დონე ახლებური მეთოდოლოგიის ცოდნა-გამოყენების უნარ-ჩვევები, რათა ჩავწვდეთ თითოეული მოსწავლის, ინდივიდის, სულიერ სამყაროს, სიტბოთი და სიყვერულით დავაინტერესოთ მოზარდი მეცნიერებით. ამის დასტური იყო თუნდაც 2008 წლის დეკემბერში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები თემაზე: „პაპირუსი-დან-კომპიუტერამდე“, საზოგადოებრივ მეცნიერებაში, ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, საბუნებისმეტყველო საგნებში. (მასწავლებლები: მ.ოსეფაისვილი, მ. მახარაძე, მ. პაიჭაძე, ნ. ხვედელიძე, ლ. თოდუა, მ. კილასონია.)



მეცნიერების ცოდნა და მისი გამოყენების უნარ-ჩვევების გამომჟღავნებასთან ერთად, ყოველ თაობას სკოლიდან მიჰყვება მშობლიური ლიტერატურის, ისტორიის, ქართული მიწა-წყლის, ტრადიციების სიყვარული, რათა 21-ე საუკუნეში საქართველომ გადააბიჯოს განათლებული, საქმისმკეთებელი, ცივილიზებულ სამყაროსთან წინაყარი, წინაპართა ღირსეული ცვლით, შემოქმედებითი თაობით.

ისტორია გვიდასტურებს – ჩვენს ხალხს არასოდეს უცხოვრია უპრობლემოდ, მაგრამ შრომით, ცოდნით, გამოცდილებითა და ღვთის შეწევნით დღემდე მოვედით.

როგორც უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს –პატრიარქი ილია მეორე გვმოდღვრავს:

„როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას

შენი ცხოვრებაც ისე იქნება,

გულს ნუ გაიტყვ, გწამდეს უფლის

და ყველაფერი კარგად იქნება!“

გვჯერა, ნოდარ დუმბაძის მაღლით გამთბარი ჩენი სკოლა, ჩენი სოფელი ჯვარცხმა-ჩაისუბანი საქართველოსთან ერთად გააგრძელებს გზას მარადისობისაკენ.

მრავალჯამიერ ამ სვლას ბედნიერს!!!

